საქართველოს მთავრობის

დადგენილება №370

2021 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

„მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №314 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №314 დადგენილებაში (სსმ, №134, 19/10/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. 1^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^1“ ქვეპუნქტი:

„ე^1) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;“.

2. 1^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^2**. ამ დადგენილების 1^1 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციები სარგებლობენ საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციის სტატუსით. ამ ორგანიზაციებზე არ ვრცელდება ამავე დადგენილებით დამტკიცებული მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დებულების 4^1 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატზე, აგრეთვე – ამავე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მოთხოვნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**